დანართი 1

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

საეთერო და ინტერნეტ ტელე - რადიო მაუწყებლობის

(„სდასუ TV“-ს და „სდასუ RADIO“-ს)

საქმიანობის

2021 წლის ანგარიში

თბილისი 2022

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტმა (საიდენტიფიკაციო კოდი: 204886454) 2013 წლის 27 სექტემბრის წერილობითი განცხადების საფუძველზე, 2013 წლის 1 ოქტომბერს მიიღო ავტორიზაცია საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობაზე (შემდგომში - „მაუწყებელი“).

მაუწყებელი დაფუძნებულია და თავის საქმიანობას ახორციელებს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის საფუძველზე.

მაუწყებელი წარმოადგენს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში „სდასუ TV“) ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის სტრუქტურულ ერთეულს.

მაუწყებლის მიზანია:

ა) საზოგადოებისთვის პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, მათი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი ანალიტიკური და შემეცნებითი ხასიათის პროგრამების მიწოდება;

ბ) სტუდენტების მიერ შექმნილი სატელევიზიო პროდუქციით, გაწეული მომსახურებითა და შესრულებული სამუშაოებით საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

გ) უნივერსიტეტის თითოეული სკოლის სტუდენტის პროფესიული განვითარებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების ხელშეწყობა.

მაუწყებელი „სდასუ TV” სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს შექმნან საავტორო, საინფორმაციო - ანალიტიკური გადაცემები და დაეუფლონ ტელეგადაცემების შექმნის ხელოვნებას.

მაუწყებლის ამოცანები და საქმიანობის მიმართულებებია: ინტერნეტ მაუწყებლობის განხორციელება; სატელევიზიო პროგრამების წარმოება, გახმოვანება და საზოგადოებისთვის მიწოდება; ტელე გადაცემებისთვის დღის მთავარი საინფორმაციო სიახლეების მოპოვება, დამუშავება და საზოგადოებისთვის მიწოდება; აქტუალური პოლიტიკურ-საზოგადოებრივი თემების, ასევე ეკონომიკის, იურისპუდენციის, მედიცინის, კულტურის და სხვა დარგის სიახლეების გაშუქება; მაუწყებლის მიერ გავრცელებული ტელე პროდუქციის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა-ანალიზი.

მაუწყებლის მიზანია უნივერსიტეტის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ჩართვა შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში და ორიენტირებულია მათ პროფესიულ განვითარებასა და განათლების პოპულარიზაციაზე. მათ მიერ შექმნილი ტელეპროდუქციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის ამაღლებაზე.

“სდასუ TV” მაყურებელს სთავაზობს ქართულ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს, ლიცენზირებულ სატელევიზიო პროგრამებს, საგანმანათლებლო და შემეცნებით-გასართობ გადაცემებს.

საანგარიშო წლის მანძილზე „სდასუ TV" მაუწყებლობდა ციფრული ხარისხის სიგნალით FULL HD ფორმატში 08:00 საათიდან 00:00 საათამდე.

2021 წელს "სდასუ TV"-ს საქმიანობა სრულად შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობით სალიცენზიო პირობებით და ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

„სდასუ TV" 2021 წლის მანძილზე უზრუნველყოფდა:

1. საუნივერსიტეტო აქტივობების შესახებ ტელეგადაცემების მომზადებას, ჩაწერას და გაშუქებას.
2. საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების მონაწილეობით გადაცემების ორგანიზებას, ჩაწერას, მონტაჟს და გაშუქებას.
3. შემეცნებითი გადაცემების: „გაცოცხლებული წარსული", „საეკლესიო აღმშენენლობა", „წმინდანები", „ღვთის სახლი", „საუფლო დღესასწაულები", „მკითხველთა კლუბი"; „მედიცინის ანატომია"; „განსხვავებული ხედვა"; „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტები"; „სტუდენტური სახელოსნო"; „პოეზიის საღამო", „მკითხველთა კლუბი"; „მასპინძელი"; „საუბრები ბუხართან" და სხვ. მომზადებას და სატელევიზიო ეთერში გაშვებას.
4. უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესურის მიერ ორგანიზებული საგანმანათლებლო, კულტურული, ინტელექტუალური, შემეცნებითი და სპორტული აქტივობების ვიდეო გადაღებას, მონტაჟს და გაშუქებას.
5. ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვებისთვის ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას და გაშუქებას.
6. პარტნიორ უნივერსიტეტებთან, სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების და საქმიანი ვიზიტების გაშუქებას.
7. თანამშრომლობას მედიის განვითარებით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.
8. მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღწევების შესახებ გადაცემების მომზადებას და პოპულარიზაციას.
9. პროფესურის და სტუდენტთა მიერ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ასევე სამეცნიერო „ჟურნალ სპექტრი"-ში გამოქვეყნებულ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემატიკის გაშუქებას, ჩაწერას და საზოგადოებისთვის მიწოდებას.
10. სტუდენტური თვითმმართველობების ინიციატივების და მათ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების შესახებ გადაცემების მომზადებას და გაშუქებას.
11. სტუდენტთა და პროფესურის საუნივერსიტეტო აქტივობების და მათ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების შესახებ გადაცემების მომზადებას, ჩაწერას და გაშუქებას.
12. უნივერსიტეტის პროფესორებისა და პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების საჯარო ლექციების ჩაწერას და გაშუქებას.
13. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ჩაწერას და გაშუქებას.

14. სადოქტორო დისერტაციების დაცვის ჩაწერას და გაშუქებას.
15. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტთა ჩართვას ინოვაციური პროექტების, რეპორტაჟების, ტელე-გადაცემების მომზადების და ჩაწერის პროცესში.
16. კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აუდიო-ვიდეო, აუდიო-ვიზუალურ და კინო პროდუქციაზე საავტორო, ინტელექტუალური საკუთრების და სხვა უფლებების მოპოვებას.
17. მაუწყებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციას და გაძლიერებას.
18. გადაცემების დაარქივებას.

საანგარიშო პერიოდში 2021 წელს, მაუწყებელში საჩივარი არ შემოსულა.

„მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მაუწყებელი საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი განხილვის გამჭვირვალე პროცესს. მაუწყებელს საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად შემუშავებული აქვს დებულება, რომელშიც გაწერილია მაუწყებლის თვითრეგულირების პირველი ინსტანციის და სააპელაციო ორგანოს ფუნქციონირების წესი. საანგარიშო პერიოდის მანძილზე საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობას სამაუწყებლო საქმიანობიდან შემოსავალი არ მიუღია. სასწავლო პროცესის მიზნებიდან გამომდინარე, მაუწყებლის საქმიანობა ფინანსდება უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობიდან (უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობიდან) მიღებული შემოსავლით.

სდასუ TV-ის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: /ჟ.კილასონია/